საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღაში“

ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ

განხორციელებული მონიტორინგის
შედეგები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
სექტემბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

1. მონიტორინგის მიზანი და ამოცანა
2. მონიტორინგის განხორციელების პროცესი
3. ადმინისტრაციული მმართველობის საკითხი
4. თამარ კაიკაციშვილის საქმე
5. ორგანიზაციის დასკვნა
6. სარეკომენდაციო ნაწილი

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. მონიტორინგის მიზანი და ამოცანა

საქართველოს მთავრობამ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2007 წლიდან პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა დაიწყო და რეფორმის ერთ–ერთ სტრატეგიად, პროფესიული განათლების სისტემის ჰარმონიზაცია და ერთიან ევროპულ/საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება გამოაცხადა.[2] „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონმა პროფესიული განათლების განხორციელება და განვითარება **გადაწყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა** და **დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის პრინციპების** დაცვას დააფუძნა.[3] საქართველომ პროფესიული განათლების მიზნები ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკას დაუახლოვა და „კოპენჰაგენის დეკლარაციის“ დებულებების გაზიარების სურვილი გამოთქვა. 2007 წელს მიღებულმა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონმა, შეიძლება ითქვას, სრულად გადმოიტანა პროფესიული განათლების სტანდარტები და ღირებულებები, რომელიც ასახულია „კოპენჰაგენის დეკლარაციაში“ და გულისმხობს ეროვნული პროფესიული განათლების გამჭვირვალობას, ნდობას, პროფესიული კომპეტენციას, მობილობას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და განათლების ხელმისაწვდომობას[4], თუმცა დღემდე არ მომხდარა პროფესიული განათლების სისტემის კრიტიკული შეფასება და პროფესიული სასწავლებლების გადაწყვეტილებების მიმართ ნდობისა და გამჭვირვალობის დადგენა, ადმინისტრაციული რესურსისა და მენეჯმენტის კომპეტენციის შესატყვისობის გამოვლენა შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფასა და ამავე შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანობასა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისობით.

ორგანიზაციის მხრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიმართ დათმობილი ინტერესი განაპირობა მონიტორინგის დაწყებამდე სასწავლებელში **ავტონომიურობის ხარისხის, გადაწყვეტილებების კანონიერებისა** და **გამჭვირვალე/დემოკრატიული მმართველობის** არსებობის დადგენამ, რასაც წინ უძღოდა მაღალი საზოგადოებრივი/მედია ინტერესი სასწავლებელში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში და 2012 წლის 6 (19) ივნისს კოლეჯის დირექტორის მოადგილის, თამარ კაიკაციშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ობიექტურად შეფასდეს ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში მიღებული გადაწყვეტილებების **სამართლიანობა** და **„კარგი მმართველობის“** დემოკრატიული საფუძვლები, რათა შეფასდეს რამდენიმე ტენდენცია, რომელიც პროფესილი განათლების სისტემის დახვეწისა და სრულყოფის პროცესში, მნიშვნელოვან დამხარებას გაუწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრობლემური საკითხების გადაჭრისა და რეფორმის გაუმჯობესებისათვის. შესაბამისად, ორგანიზაციის სტრატეგიაა:

1. შეფასდეს პროფესიული განათლების ძირითადი პრინციპების განხორციელების პრაქტიკა ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში არსებული მდგომარეობის წარმოჩენით;
2. დადგინდეს ავტონომიურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის სტანდარტები ქობულეთის პროფესიულ სასწავლებელში საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

---

[2] „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – პროფესიული სტანდარტები,“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012

[3] საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, 2007

[4] 2002 წლის 30 ნოემბერს, კოპენჰაგენში, ევროკომისიისა და ევროპის 30 ქვეყნის პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა ხელი მოაწერეს „პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების" დეკლარაციას, რომელიც ევროპაში ერთიანი პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებისთვის ხელსაყრელ საფუძველს ქმნის. დღევანდელი მონაცემებით, ე.წ. კოპენჰაგენის პროცესში, რომელშიც მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მონაწილეობენ, 33 ქვეყანაა ჩართული.

3. დადგინდეს პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის მენეჯმენტის გამჭვირვალობის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან და „ღია მმართველობის“ საჭიროება პროფესიული სასწავლებლებისთვის;
4. მოხდეს საზოგადოებრივი კოლეჯის წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენა;
5. შეიქმნას სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საკითხების გადაჭრისა და დარეგულირების მიმართულებებს.

ორგანიზაციამ თამარ კაიკაციშვილის საქმის შესწავლის პერიოდში, ასევე ყურადღება დაუთმო პროფესიულ სასწავლებელში საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვის განხორციელებასაც და დამსაქმებლის კეთილსინდისიერებას დასაქმებულთა შრომითი უფლებების უზრუნველყოფის პროცესში, ვინაიდან პროფესიული სასწავლებლების რეფორმის ყველაზე თვალსაჩინო კომპონენტი შრომითი უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს დაეფუძნა და ამ თვალსაზრისით, სამაგალითო ადგილი დაიჭირა კვალიფიციური კადრების მომავალი პროფესიული განვითარებისათვის.

2. მონიტორინგის განხორციელების პროცესი

ორგანიზაციამ მონიტორინგის მომზადების პროცესში, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ გამჭვირვალე ადმინისტრაციული მმართველობის დადგენის მიზნით, ითანამშრომლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯთან, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოში გაერო–ს წარმოამდგენლობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“, „კონსტიტუციის 42 მუხლი“, „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“, „სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისათვის“, რათა ობიექტური დამოკიდებულება გაჩენილიყო განსახილველი თემის მიმართ.

ორგანიზაციამ მოახდინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმესთან დაკავშირებით[5] მონიტორინგის ფარგლებში გაცნობილ იქნა თამარ კაიკაციშვილის საადვოკატო კამპანიის ფარგლებში მომზადებული სხვადასხვა სახის წერილი და განცხადება, დაცვის სტრატეგიის გამომხატველი სპეციალური გაზეთი „ღირსების საქმე“. ამასთან, გაცნობილ იქნა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაციის/დირექტორის ცალკეული გადაწყვეტილებები და საჯარო განცხადებები, რომელებმაც, ერთიანობაში, აღნიშნული მონიტორინგის დასკვნა და სარეკომენდაციო ნაწილის ფორმირება განაპირობეს.

ორგანიზაციამ სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯში მმართველობის გამჭვირვალობის საკითხი პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილის, თამარ კაიკაციშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტის გასაჯაროების შემდგომ დასვა, რომელიც სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან შეფასდა სასწავლო პროცესში დაშვებული ხარვეზების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება,[6] თამარ კაიკაციშვილის მხრიდან კი განსხვავებული სამოქალაქო პოზიციის გამო, პოლიტიკური ნიშნით თანამდებობიდან დათხოვნა.[7] ორგანიზაციისთვის მაღალი ინტერესის საგანი გახდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების საფუძვლიანობის დადგენა და პოლიტიკურ დაკვეთასთან კავშირის შესაძლებლობის ვარაუდი, რადგანაც სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება დაემთხვა 2012 წლის ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს და ამ პერიოდისთვის პოლიტიკური ნიშნით საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლების გათავისუფლების ფაქტების სიმრავლეს, რის აღმოსაფხვრელადაც, საქართველოს მთავრობამ უწყებათაშორისი კომისიის შექმნის გადაწვეტილება მიიღო. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყო სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში მიღებული გათავისუფლების მიმღებ ორგანოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელებამ, რომელიც დღემდე დასტურდება საჯაროდ გამოქვეყნებული სამი აუდიო–ჩანაწერით,[8] ხოლო მოგვიანებით, საქმესთან სამინისტროს კავშირის შესახებ ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების

---

[5] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ნოემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის განჩინებები თამარ კაიკაციშვილის სარჩელზე/საჩივარზე ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიმართ

[6] სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 18 და 19 ივნისის #34 და #36 ბრძანებები თამარ კაიკაციშვილის გაფრთხილებისა და გათავისუფლების შესახებ.

[7] თამარ კაიკაციშვილის „მიმართვა ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯს და საზოგადოებას“, გაზეთი „ღირსების საქმე“, 2012

[8] თამარ კაიკაციშვილის ადვოკატმა საზოგადოებას გააცნო კოლეჯის დირექტორთან, საქმისმწარმოებელთან და იურისტთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერები, სადაც კოლეჯის ხელმძღვანელი პირები მოადგილის გათავისუფლებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ გადაწყვეტილებად ასაბუთებენ.

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ლალი ებანოიძემ 2012 წლის 28 ნოემბრის წერილით.[9] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დღემდე არც ერთ გარემოებაზე ოფიციალური განმარტება არ გაუკეთებია, რაც ფაქტების ნამდვილობისა და ავთენტურობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. სწორედ ამიტომაც, ორგანიზაციამ საქმეზე მონიტორინგის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

ორგანიზაციამ 2012 წლის 13 აგვისტოს ღია წერილით მიმართა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს და მონიტორინგის დაწყების გადაწყვეტილების შესახება ცნობა.

ორგანიზაციამ 2012 წლის 8 ოქტომბერს საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და სსიპ ქობულეთის საზოგადორბრივი კოლეჯის დირექტორის მიმართ ღირსების მედლის გადაცემის ფაქტის წინაპირობების დადგენა მოითხოვა.

ორგანიზაციამ 2012 წლის 26 ნოემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და თამარ კაიკაციშვილის პირად კონტროლზე აყვანა სთხოვა.

ორგანიზაციამ 2012 წლის 26 ნოემბერს წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს და მინისტრთან შეთანხმებით, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის პასუხისმგებლობისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დასმა მოსთხოვა, ამასთან განცხადებით მოთხოვნილ იქნა სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც.

ორგანიზაციამ 2012 წლის 25 დეკემბერს საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს და 2012 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით, ყველა სპეციალობისა და საფეხურის სტუდენტთა სახელობითი სია, გაღებული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, (სასამართლო სხდომებზე ადმინისტრაციისა და სტუდენტთა ქობულეთი–ბათუმი–ქობულეთის მარშრუტით გადაადგილების ტრანსპორტირების ხარჯების შესახებ), საქმეზე გაღებული საადვოკატო ხარჯები და კოლეჯში სასწავლო პროცესის შეწყვეტის საჭიროების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაცია მოითხოვა.

ორგანიზაციამ 2013 წლის 14 იანვარს საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს და 2012 წლის 01 აპრილიდან 2012 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით, ყველა სპეციალობისა და საფეხურის სტუდენტთა სახელობითი სია.

ორგანიზაციამ 2013 წლის 11 თებერვალს საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებით მიმართა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს და კოლეჯის თანამშრომელთა 2012 წლის 18 ოქტომბრის თათბირის ოქმი #1 მოითხოვა.

ორგანიზაციამ 2013 წლის 4 აპრილს წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსაუხრიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის კომპეტენციის გაზრდის წინადადება შესთავაზა.

ორგანიზაციამ 2013 წლის 26 ივნისს წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსაუხრიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე მინისტრის #1374 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელება და კომისიისთვის სასწავლებლებში 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის

[9] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2012 წლის 28 ნოემბრის #70583 წერილი.

შექმნამდე (2012 წლის 12 დეკემბრამდე) პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა საქმეების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების წინადადება შესთავაზა.

ორგანიზაციის მცდელობებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ჯეროვანი კომუნიკაცია მოჰყვა. წარდგენილ წერილებთან დაკავშირებით და მასალებით გაცნობილ ფაქტებთან მიმართებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე შეხვდა ორგანიზაციის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე მინისტრის მოადგილისთვის დამატებით მიწოდებულ იქნა ინფორმაცია პროფესიულ სასწავლებელში მიღებული გადაწყვეტილებებისა და მმართველობის სტილის შესახებ. სამინისტროს გადაწყვეტილებით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხოლო სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის საქმეზე დღემდე მიმდინარეობს უწყებრივი დაკვირვება და გამოვლენილი გარემოებების შესწავლა. სამინისტროს, ჯერ–ჯერობით, ოფიციალური განმარტება არ გაუკეთებია ინიციატივაზეც, გაზრდის თუ არა ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსაუხრიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის უფლებამოსილებას. ორგანიზაცია წინადადების განხილვას ფართო საზოგადოებრივი დისკუსიისა და სამინისტროსთან ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში გააგრძელებს.

3. ადმინისტრაციული მმართველობის საკითხი

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროფესიული სასწავლებლის მმართვის ორგანოებია სასწავლებლის დირექტორი და სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭო. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის წესდების თანახმად, დირექტორს იშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია შერეული სისტემით – არჩეული თავმჯდომარისა და არჩეული/დანიშნული წევრებისაგან.[10] ამჟამად, ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯს ხელმძღვანელობს დირექტორი დავით მჭედლიშვილი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული თავმჯდომარეა – კახა ბოლქვაძე. კანონით, კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და წესდებით. თითოეული სამართლებრივი დოკუმენტი ემყარება საჯაროობის, გამჭვირვალობის, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, 2013 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაცია წარმოსდგება შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით მჭედლიშვილი – დირექტორი
2. ნელი გუგუნავა – დირექტორის მოადგილე *(დირექტორის საიმედო კადრი, თანამშრომელი 30 წლის მანძილზე)*
3. ეთერ ანანიძე – სასწავლო პროცესის მენეჯერი *(დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი)*
4. სარდიონ დიასამიძე – ბუღალტერი[11] *(დირექტორის საახლობლო წრე)*
5. ჭაბუკი ვერულიძე – იურისტი *(დირექტორის საახლობლო წრე)*
6. ლუიზა რომანაძე – პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერი *(დირექტორის სამეგობრო წრე)*
7. ზაზა მეგრელიძე – მატერიალური რესურსების მენეჯერი *(დირექტორის საახლობლო წრე)*
8. ანა ალექსეევი – დირექტორის თანაშემწე *(დირექტორის უახლოესი წრე)*
9. ირმა მეგრელიძე – პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი *(დირექტორის უახლოესი წრე)*
10. ლაშა ხახუტაიშვილი – სასტუმროს ადმინისტრატორი *(დირექტორის დისშვილი)*
11. მირანდა კომახიძე – პიარსამსახური *(დირექტორის უახლოესი წრე, დანიშვნის დორისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის და)*
12. ნათია ტაკიძე – შესყიდვების მენეჯერი *(დირექტორის დისშვილის მეუღლე)*
13. თამილა თედორაძე – დარგობრივო მიმართულების კოორდინატორი (ბიზნეს ადმინისტრირება) *(დირექტორის უახლოესი წრე)*
14. რომან მემარნე – დარგობრივი მიმართულების კოორდინატორი (საინჟინრო) *(დირექტორის თანასოფლელი და ოჯახის ახლობელი)*

ორგანიზაციამ მონიტორინგის ფარგლებში, არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების საფუძველზე, შეძლო დაედგინა, ეფუძნება თუ არა პროფესიულ სასწავლებელში მმართველობის ფორმა

---

[10] სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრის, დამსაქმებლის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის დანიშვნა ხდება სამინისტროს მიერ, შესაბამისი ორგანოების ან/და ორგანიზაციების მიერ კოლეჯში წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით, ხოლო პროფესიული სტუდენტების მშობელთა წარმომადგენლისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევა ხდება კოლეჯში ჩატარებული არჩევნების საფუძველზე, წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

[11] 2013 წლის 5 სექტემბრის მონაცემით, კოლეჯის ადმინისტრაციაში განხორციელებულია მხოლოდ ერთი ცვლილება. კოლეჯს ახალი ბუღალტერი, მალვინა ჯიჯავაძე ჰყავს. რამ გამოიწვია ცვლილება, მონიტორინგისტვის უცნობია.

დემოკრატიულ პრინციპებს და რამდენად შესაძლებელია აკადემიური გარემოში დამკვიდრება საკუთარი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, როგორ მუშაობს ეფექტური მმართველობა და სასწავლებელში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რა პოზიციის ჩამოყალიბება უზრუნველყო სისტემამ, რომელიც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი აკადემიური გარემოს ღირებულებებს ეფუძნება. შედეგების მიხედვით, შეფასდა არამხოლოდ ადმინისტრაციის ურთიერთკავშირი, არამედ პროფესიული სასწავლებლის დასაქმებულთა წრეც. წარმოდგენილი სინამდვილით, პროფესიულ სასწავლებელში არსებულმა საკადრო პოლიტიკამ, გამოიკვეთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების შედეგად, კონკურსების გვერდის ავლით, ნეპოტიზმის და „დახურული მმართველობის“ სისტემისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა, რომელიც არ პასუხს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“ და საჯარო მმართველობისთვის აუცილებელ გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირება მოახდინა პროფესიულ სასწავლებელში დასაქმებული 46 მოქალაქის უშუალო კავშირს სასწავლებლის დირექტორთან და მათთან შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ნათესაური ნიშნით. სასწავლებელს უწყვეტად, 18 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს თავად დავით მჭედლიშვილიც. მონიტორინგმა გამოკვეთა, რომ სხვადასხვა დროს, ამჟმინდელი საზოგადოებრივი კოლეჯი სხვადასხვა იურიდიული სტატუსით არსებობდა. სასწავლებლი დაარსდა 1964 წელს, როგორც სამშენებლო პროფილის სასწავლებელი. 1976 წელს იგი იქცა №90 ტექნიკურ სასწავლებლად, 1985 წლიდან საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, ხოლო 1995 წლიდან პროფესიულ ლიცეუმად. 2006 წლიდან პროფესიული ლიცეუმი გახდა პროფესიული ტურიზმის ცენტრი, 2011 წელს კი კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია, რის შედეგადაც მან საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მოიპოვა.

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგად, პროფესიულ სასწავლებელში დირექტორის მხრიდან შრომითი ურთიერთობის ნამდვილობა დაადასტურა შემდეგ თანამდებობრივი პოზიციის მოქნე პირებთან:

1. კახა ბოლქვაძე - კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, იმავე დროს კოლეჯში ერთადერთი აიტი ტექნოლოგიების სპეციალისტი, დირექტორის მეუღლის მამიდაშვილი
2. ნათია ტაკიძე, შესყიდვების მენეჯერი, დირექტორის დისშვილის მეუღლე
3. ლაშა ხახუტაიშვილი, პრაქტიკების მენეჯერი, ბარმენთა ჯგუფის პედაგოგი, დირექტორის დისშვილი.
4. ირმა გოგიტიძე, კოლეჯში პირველადი დახმარების საათების პედაგოგი, მთავარი ექთანი, დირექტორის მეუღლე.
5. ბიჭიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის კვების ბლოკის საწყობის ხელმძღვანელი, სამეურნეო საქმიანობაში ნდობით აღჭურვილი პირი, დირექტორის ბიძაშვილი.
6. თალიკო რევაზიშვილი, კოლეჯის ბიბლიოთეკარი, დირექტორის ახლო ნათესავის, ბიჭიკო ჯინჭარაძის მეუღლე.
7. აკაკი ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის მამიდაშვილი.
8. ინგა ანანიძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ახლო ნათესავის, აკაკი ანანიძის მეუღლე.
9. ინდიკო ჯინჭარაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის ბიძაშვილი
10. რომან მემარნე, საინჟინრო მიმართულების სპეციალისტი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
11. დავით წულუკიძე, კოლეჯის ავტო-დიაგნოსტიკის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
12. ეთერ ანანიძე, კოლეჯის პედაგოგი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.
13. ვაჟა წულუკიძე, კოლეჯის პედაგოგი, დირექტორის თანასოფლელი და ახლო მეგობარი.
14. მირანდა კომახიძე, კოლეჯის პიარ-სამსახურის უფროსი, აჭარის მთავრობის ერთ-ერთი თანამდებობის პირისა და გამგებლის ყოფილი მოადგილის და.
15. მზია კომახიძე, კოლეჯის უცხო ენების პედაგოგი, კოლეჯის პიარმენეჯერის და.

16. სოფო გოგმაჩაძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის თანასოფლელი და მეზობელი.
17. თეა აბრამიშვილი, კოლეჯის დამხმარე თანამშრომელი, დირექტორის მეგობარის მეუღლე.
18. ნიკოლოზ ცეცხლაძე, კოლეჯის სამეურნეო დარგის მუშაკი, თეა აბრამიშვილის მაზლი.
19. ნათია კახიძე, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, დირექტორის მეგობრის ცოლი და „ნაც.მოძრაობასთან“ დაახლოებული ბიზნესმენების ჭყონიების რძალი.
20. ჭაბუკი ვერულიძე, კოლეჯის იურისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე სულხან მოწყობილის სიძე.
21. სოფო მოწყობილი, კოლეჯის საინფორმაციო ცენტრის ოპერატორი, კოლეჯის იურისტის, ჭაბუკი ვერულიძის ცოლი.
22. სოფო რომანაძე, კოლეჯის პროფორიენტაციის მენეჯერი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა და ნათესავი, ბიზნესში ცნობილი ჭყონიების ოჯახის რძალი. (არა თემურ ჭყონიასი)
23. სარდიონ (ზურა) დიასამიძე, კოლეჯის მთავარი ბუღალტერი, დირექტორის საახლობლო წრიდან.
24. ნელი გუგუნავა, სასწავლო მმართვის მენეჯერი, დირექტორის უახოესი გარემოცვა, რომელიც 30 წელზე მეტია მუშაობს კოლეჯში.
25. გიული გოხიძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი. ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.
26. ლელა მესხიძე, საინფორმაციო ცენტრის ადმინისტრატორი, შეთავსებით სასტუმრო საქმის პედაგოგი, ნელი გუგუნავას ახლო ნათესავი.
27. ნანა ღუდუშაური, კოლეჯის ტურიზმის სფეროს პედაგოგი, ნელი გუგუნავას შვილი.
28. თინათინ (მანანა) გაგუა, მზარეულის სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის უახლოესი წევრი.
29. ინგა ჟიჟავაძე, საკონდიტრო სპეციალობის პედაგოგი, დირექტორის ახლო მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
30. ედნარ ვერულიძე, კოლეჯის დარაჯი, დირექტორის მეზობელი, ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
31. მზია ქათამაძე, სასტუმრო საქმის პედაგოგი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
32. ამირან ათაბაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მზია ქათამაძის მეუღლე.
33. ზაზა მეგრელიძე, კოლეჯის სამეურნეო სფეროს მენეჯერი. დირექტორის ოჯახის უახლოესი გარემოცვა.
34. ირმა მეგრელიძე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. ზაზა მეგრელიძის და.
35. მაია ნოღაიდელი, სარესტორნო საქმის პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
36. ეთერი კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის დედამთილი.
37. მალხაზ კუცია, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, მაია ნოღაიდელის ქმარი.
38. ნინო ბეჭვაია, კოლეჯის სარესტორნო საქმის პედაგოგი, წლების განმავლობაში კოლეჯის სტუდენტური კაფე-ბარის მმართველი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
39. თემურ ქორიძე, კოლეჯის საინჟინრო მიმართულების პედაგოგი, ნინო ბეჭვაიას მეუღლე.
40. ვაჟა ქათამაძე, კოლეჯის დამხმარე პერსონალი, დირექტორის უახლოესი გარემოცვა.
41. მაია ქათამაძე, კოლეჯის რუსული ენის პედაგოგი, ვაჟა ქათამაძის მეუღლე.
42. ნატო რომანაძე, კოლეჯის ტუროპერატორის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, დირექტორის ოჯახის ახლობელი.
43. ნანა რომანაძე, ოფისის მენეჯერის ჯგუფის და საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგი, ნატო რომანაძის და.
44. ამირან გოგიტიძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.
45. მიხეილ ჯინჭარაძე, მძიმე ტექნიკის ოპერატორების ჯგუფის პედაგოგი. დირექტორის უახლოესი გარემოცვა, თანასოფლელი და მეზობელი.

განხორციელბული მონიტორინგის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ დავით მჭედლიშვილმა დირექტორის თანამდებობა ხელისუფლებასთან სიახლოვითა და განათლების სამინისტროს პირველ პირებთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობებით შეინარჩუნა. კოლეჯის დირექტორი 2003 წლის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდა ქობულეთის საოლქო უბანს, რომელმაც არჩევნები „ნაციონალური

მოძრაობის” სასარგებლოდ გადაწყვიტა. განსაკუთრებული აქტიურობა შესამჩნევი იყო 2008 წლის იანვრისა და მაისის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა საუბნო კომისიის წევრი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ კამპანიას აწარმოებდა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, დავით მჭედლიშვილი გავიდა ოფიციალურ შვებულებაში და ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის” ღია მხარდამჭერის ფუნქცია შეასრულა. კოლეჯის დირექტორმა ყოფილი მმართველი პარტიის ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატ გელა ცხომელიძესთან ერთად არაერთი შეხვედრა გამართა ადგილობრივ ამომრჩეველთან, რასაც ადასტურებს საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9” – ის მიერ ადგილზე გადაღებული კადრებიც. დირექტორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გამართვამდე, პროფესიული კოლეჯი ყოფილი მმართველი პარტიის საუბნო კომისიის წევრების შეხვედრებისა და კონსულტაციების ადგილადაც აქცია, სადაც მიმდინარეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადგილობრივი მხარდამჭერების ტრენინგები და გადამზადება. მეტიც, დადასტურებული ფაქტია, როდესაც კოლეჯის თანამშრომელი, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, თეონა მენაფირე გახდა თვითგამოცხადებული „ინფო-9”-ის ჟურნალისტი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან. კოლეჯის თანამშრომელმა ერთ თვეზე მეტი დროით მიიღო შვებულება და აქტიურად ჩაერთო მაშინდელი ოპოზიციის – „ქართული ოცნების” მოსახლეობასთან შეხვედრების ხელშეშლსა და და მიკერძოებულ გაშუქებაში. თეონა მენაფირის საქმიანობის შესახებ არაერთი სტატია მომზადდა ადგილობრივ გაზეთ „აჭარა პ.ს”-ში. კოლეჯის დირექტორი, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2012 წლის 30 სექტემბერს, პრეზიდენტის ღირსების მედლითაც დაჯილდოვდა. ოფიციალური ვერსიით, დირექტორმა აღნიშნული მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდო ტურიზმის განვითარებისთვის მიიღო, თუმცა არსებობს მაღალი ალბათობა, რომ კოლეჯის დირექტორი პოლიტიკური ერთგულებისთვის დააჯილდოვეს, რადგანაც ასეთი ჯილდოს გადაცემა მოხდა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, რა დროსაც, ტურიზმის დამსახურებისთვის სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის ლეგიტიმური ეჭვი, პრაქტიკულად არ არსებობს.

4. თამარ კაიკაციშვილის საქმე

ორგანიზაციამ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, შეისწავლა ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები თამარ კაიკაციშვილის სარჩელზე სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიმართ. ორივე ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ სცნო დირექტორის მოადგილის გათავისუფლების ფაქტი. ამჟამად, საქმეს საქართველოს უზენაესი სასამართლო განხილავს.

სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, თამარ კაიკაციშვილი, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 19 ივნისამდე, მუშაობდა კოლეჯის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. მას დირექტორის 2012 წლის 28 მაისის #29 ბრძანების საფუძველზე დაევალა კოლეჯის საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის თავმჯდომარეობა და აღნიშნული გამოცდების ორგანიზება. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების დროდ დადგინდა პერიოდი 2012 წლის 31 მაისიდან 2012 წლის 8 ივნისის ჩათვლით. საკვალიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობის პერიოდში რამდენიმე დღე დაემთხვა კოლეჯის დირექტორის მივლინებას, რა დროსაც თამარ კაიკაციშვილი ასრულებდა დირექტორის უფლებამოსილებას. საქმიდან ჩანს, რომ 2012 წლის 6 ივნისს, დირექტორი ბრუნდება მივლინებიდან, ხვდება ანაკლიაში პრაქტიკის კურსზე წარგზავნილ კოლეჯის სტუდენტებს, მიემგზავრება განათლებისა და მეცინიერების სამინისტროში დაგეგმილ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად და დღის მეორე ნახევარში, ერთ-ერთი სატელეფონო ზარის დროს, მოადგილეს ატყობინებს, რომ ამავე დღეს, ქობულეთში დაბრუნების შემდგომ, მასთან სურდა შეხვედრა და საუბარი გადაუდებელ საკითხზე.

2012 წლის 6 ივნისს კოლეჯის დირექტორმა თამარ კაიკაციშვილს განუმარტა, რომ ის ღებულობდა საკადრო გადაწყვეტილებას და მოუწოდა დაეტოვებინა დირექტორის მოადგილის თანამდებობა, პირადი განცხადების საფუძველზე. დირექტორმა მოადგილეს შესთავაზა, რომ დაეხმარებოდა ახლი სამსახურის პოვნაშიც, ასევე შესთავაზა გადასულიყო სხვა პოზიციაზეც. თამარ კაიკაციშვილმა მოფიქრებისთვის მოითხოვა ორი დღე, ხოლო მეორე დღეს, 2012 წლის 7 ივნისს, უარი განაცხადა პირადი განცხადებით სამუშაოდან წასვლაზე და მოითხოვა დირექტორს თავად მიეღო გადაწყვეტილება მისი სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე. თამარ კაიკაციშვილმა, საბოლოოდ მოითხოვა - ნებისმიერი მიზეზის აღნიშვნით, თავად დირექტორს მიიღო მისი გათავისუფლების ბრძანება და დატოვა შეხვედრის ოთახი. დირექტორთან საუბრის შემდეგ, მოადგილე დაბრუნდა თავის სამუშაო ოთახში, პერსონალური ნივთების აღების მიზნით და ვეღარ ისარგებლა მანამდე მის სარგებლობაში არსებული კომპიუტერით, ვინაიდან კომპიუტერს გამოცვლილი ჰქონდა პაროლი, რის გამოც დახმარებისთვის დაუკავაშირდა კოლეჯის აიტი ტექნოლოგიების სპეციალისტს, კახა ბოლქვაძეს.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა კახა ბოლქვაძემ დაადასტურა, რომ მის მიერ 2012 წლის 7 ივნისის დილით, დირექტორის დავალებით მართლაც განახორციელდა შემდეგი მოქმედება: პაროლი დაადო მოსარჩელის სამუშაო კომპიუტერს, ასევე მის პასუხისმგებლობაში გადაცემული ერთ-ერთი თანამშრომლის ლეპტოპს, რომელშიც ინახებოდა კოლეჯის პროექტები და პრეზენტაციის მასალები, შეცვალა კოლეჯის ელექტრონული ფოსტის პაროლი. თიმცა მოადგილის მოთხოვნის შემდეგ აღნიშნული პაროლი გადასცა თამარ კაიკაციშვილს და მას მუშაობაში ხელი არ შეშლია.

თამარ კაიკაციშვილმა, 2012 წლის 7 ივნისს დირექტორთან საუბრის და მის კუთვნილ კომპიუტერზე პაროლის დადების შეტყობინების შემდეგ, აიღო პირადი დოკუმენტები, პირადი ინფორმაცია - ბიოგრაფია, ფოტოები, კახა ბოლქვაძეს გადასცა კოლეჯის სარეგისტარციო საინფორმაციო ცენტრის პაროლი; იმჟამად კოლეჯის სასწავლო პროცესისი მენეჯერს - ნელი გგუგუნავას გადასცა კოლეჯში მიმდინარე და ძველი, 2011 წლის აპრილიდან 2012 წლის 6 ივნისის ჩათვლით, არსებული სტუდენტთა ჩარიცხვებისა და გარიცხვების ბრძანებები და სტუდენტთა სახელობითი სიები, ხოლო დირექტორის თანაშემწეს გადასცა კოლეჯის კუთვნილი კორპორატიული ტელეფონის ნეომერი და დატოვა სამუშაო.

შენობის დატოვებამდე კოლეჯის იურისტთან საუბრისას მოითხოვა - დროულად ჩაებარებინათ მისთვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება.

2012 წლის 7 ივნისიდან 2012 წლის 15 ივნისამდე თამარ კაიკაციშვილი სამუშაოზე არ გამოცხადებულა. იგი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ტელეფონის საშუალებით არაერთხელ დაუკავშირდა, როგორც კოლეჯის იურისტს, ასევე - დირექტორის თანაშემწეს და თავად დირექტორს, მოითხოვდა მათგან სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების წერილობითი ფორმით ჩაბარებას. აღნიშნულ პერიოდში, თამარ კაიკაციშვილის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე წერილობითი ფორმით ბრძანება არ გამოცემულა. თამარ კაიკაცისვილისთვის, მისი არაერთი მოთხოვნის შემდეგ, კოლეჯის დირექტორისა და იურისტისაგან ცნობილი გახდა, რომ ჯერ არ იყო გადაწყვეტილი - თუ რა საფუძვლით უნდა მომხდარიყო თამარ კაიკაციშვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების დაწერა და ასეთი ბრძანება დაიწერებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა განათლების სამინისტროდან ჩამოიტანდნენ კოლეჯის მოსალოდნელ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ახალ საშტატო განრიგს. ასევე, კოლეჯის დირექტორის მიერ თამარ კაკიაციშვილს განემარტა, რომ თუ მისთვის აუცილებელი იყო ასეთი ბრძანება, გამოცხადებულიყო სამუშაოზე, დაეწერა პირადი განცხადება და მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანებაც უპრობლემოდ დაიწერებოდა. სხვა შემთხვევაში, როცა მიიღებდა ბრძანებას, მაშინ დასრულდებოდა ეს ურთიერთობაც. განმცხადებელს დირექტორმა ასევე განუმარტა, რომ თავად მიეღო გადაწყვეტილება და აეკეთებინა არჩევანი, გააგრძელებდა თუ არა ბრძანების დაწერამდე სამსახურში ყოფნას.

თამარ კაიკაციშვილი კოლეჯში გამოცხადდა 2012 წლის 15 ივნისს და იმჟამად სასწავლო პროცესის მენეჯერ ნელი გუგუნავასთან ერთად დაასრულა 6 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით დაგროვილი ყველა იმ ბრძანების ტექსტებზე მუშაობა, რაც ეხებოდა საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტთა დაშვების ბრძანებებს, ასევე სხვა მიმდინარე საკითხებს. როგორც მოწმე ნელი გუგნავს ჩვენებიდან დგინდება, მათ მიერ 2012 წლის 15 ივნისისათვის სამუშაო დასრულდა იმგვარად, რომ ბრძანებების ძალაში შესვლისათვის საჭირო ხდება მხოლოდ დირექტორის ხელმოწერა, თუმცა ისინი არ ყოფილა ამობეჭდილი კომპიუტერიდან და დირექტორისთვის წარდგენილი.

სტუდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდები, რომლის კომისიის თავმჯდომარეც კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 28 მაისის #29 ბრძანების საფუძველზე იყო თამარ კაიკაციშვილი, დასრულდა 2012 წლის 8 ივნისს. აღნიშნული გამოცდების ჩატარებას 2012 წლის 6 ივნისის შემდეგ აღარ დასწრებია თამარ კაიკაციშვილი და კომისიის მუშაობას და საკვალიფიკაციო გამოცდების დასრულებას 2012 წლის 7 ივნისიდან უკვე ხელმძღვანელობას უწევდა ნელი გუგუნავა.

2012 წლის 18 ივნისის სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ დირექტორის #34 ბრძანებით ამავე კოლეჯის დირექტორის მოადგილე თამარ კაიკაციშვილს დირექტორის მოვლინების დროს დირექტორის მოვალეობის შესრულებისას დაშვებული ხარვეზების, კერძოდ - სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაშვებული ხარვეზების და გამოცდების არაორგანიზებულად ჩატარებისთვის მიეცა გაფრთხილება. 2012 წლის 18 ივნისს კოლეჯის დირექტორმა ჩაატარა თათბირი, რომლის დღის წესრიგს შეადგენდა კოლეჯის სტუდენტთა ივლისის თვის რეგისტრაციის, საკვალიფიკაციო გამოცდების მიმდინარეობის, სწრებადობის და დასაქმების შესახებ საკითხის განხილვა. თათბირზე დირექტორმა განმარტა, რომ ახსნა-განმარტებას საჭიროებდა მისი მივლინების პერიოდში სგამოცდო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდების მსვლელობა, რაზედაც ნელი გუგუნავამ განმარტა, რომ დირექტორის მივლინების პერიოდში დაგეგმილი საკვალიფიკაციო გამოცდები მიმდინარეობდა ხარვეზებით, გამოცდები იყო არაორგანიზებული, რომელსაც შემდგომში თავად უხელმძღვანელა. ამასთან, წარმოდგენილი იყო ჯგუფების პედაგოგების მიერ დირექტორის რეზოლუციით მოხსენებითი ბარათები დირექტორის მოადგილის სახელზე, რომელსაც თავად სასწავლო პროცესის მენეჯერმა გაუწია კონტროლი.

კოლეჯის დირექტორმა ამავე თათბირზე მიიღო გადაწყვეტილება და კოლეჯის იურისტ ჭაბუკი ვერულიძეს დაავალა მოემზადებინა ბრძანების პროექტი დირექტორის მოადგილის – თამარ კაიკაციშვილის გაფრთხილებასთან დაკავსირებით. აღნიშნულ თათბირს არ ესწრებოდა თამარ კაიკაციშვილი, რომელიც არ იყო გაფრთხილებული თათბირის თაობაზე. მას 2012 წლის 18 ივნისს #34 ბრძანება მისი გაფრთხილების თაობაზე ჩაბარდა იმავე დღეს, თათბირის დამთავრებისთანავე, რის შემდეგაც, თამარ კაიკაციშვილმა მიღებულ ბრძანებას გაუკეთა ჩანაწერი, რომ მასში მოტანილ მიზეზებს არ ეთანხმებოდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან თამარ კაიკაციშვილმა 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანების ჩაბარებისას გააკეთა მინაწერი, რომ არ ეთანხმებოდა მასში მოყვანილ მიზეზებს, სწორედ ამ საკითხის გარკვევის მიზნით მოიწვია კოლეჯის დირექტორმა 2012 წლის 19 ივნისს თათბირი. აღნიშნული გარემოება დასტურდება თავად 2012 წლის 19 ივნისის თათბირის ოქმი #6-იდან, რომლის თანახმადაც თათბირის დღის წესრიგს შეადგენდა წინა დღით მიღებული #34 ბრძანების განხილვა, რომელიც ეხებოდა თამარ კაიკაციშვილისათვის გაფრთხილების გამოცხადებას. აღნიშნულ თათბირს ესწრებოდნენ ადმინისტრაციის თანამშრომელბი და თავად თამარ კაიკაციშვილიც. როგორც მხარეთა განმარტებებით და სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დგინდება, თათბირზე ადგილი ჰქონდა ურთიერთშელაპარაკებას კოლეჯის დირექტორსა და თამარ კაიკაციშვილს შორის.

თათბირის შემდეგ, კოლეჯის დირექტორ დავით მჭედლიშვილის მიერ გამოცემული იქნა #36 ბრძანება თამარ კაიკაციშვილის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც, თამარ კაიკაციშვილი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანება-გაფრთხილების საფუძველზე; თამარ კაიკაციშვილთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და კოლეჯსა და თამარ კაიკაციშვილის შორის 2011 წლის 01 სექტემბერს გაფორმებული შრომითი ხელსეკრულების მე-9 პუნქტის 9.2.1. ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გამოიხატება ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევასა და დაქირავებულის მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გააზიარა თამარ კაიკაციშვილის მტკიცება იმის თაობაზე, რომ კოლეჯის დირექტორის მიერ 2012 წლის 18 ივნისს გამოყენებილი დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება არის დასაბუთებული და სადაო ბრძანების მიღებისას არ არსებობდა მოსარჩელის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების კანონიერი საფუძველი. 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანებაში დირექტორმა მოადგილის მიმართ დისციპლინური სახდელის დადების საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ მისი მივლინების დრო სასწავლო პრცესი მიმდინარეობდა ხარვეზებით, რომლის გამოც განმცხადებელს უკვე ჰქონდა მიღებული არაერთი სიტყვიერი შენიშვნა. საქართველოს სამოქლაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე; ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ვერ იქნა დადგენილი, რომ დირექტორის მიერ სადაო გაფრთხილების შესახებ ბრძანების მიღებამდე ადგილი ჰქონდა ასეთი შენიშვნის გამოყენებას.

რაც შეეხება კოლეჯის მითითებას ყოფილი მოადგილის მიერ ჩადენილ ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა სარეგისტრაციო ცენტრში ბრძანებების დაგვიანებით მიწოდება, სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტა-შეჩერებაზე დროულად არ რეაგირება, სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ სახელობითი ჟურნალის წარმოებაში გვარების არასწორ ფიქსირება და ამის გამო დიპლომების არასწორი ბეჭდვა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დარღვევის გამოვლენა და ამ დარღვევებზე დირექტორის მიერ მითითება მოხდა არა სადაო გაფრთხილების და გათავისუფლების ბრძანებების მიღებისას, არამედ - ასეთი

ფაქტების მოკვლევა და მასზე მითითება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკვე მიღებული იყო მოსარჩელის მიმართ გათავისუფლების შესახებ ბრძანება და სადაო ბრძანებების გაუქმებასთან და მის კანონიერებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა დირექტორთან თათბირები. აღნიშნული დასტურდება თავად მხარეთა განმარტებით, მოწმეების ნელი გუგუნავას და ლელა მესხიძის ჩვენებებით და თავად კოლეჯის დირექტორის ახსნა-განმარტებით.

სასამართლომ გაიზიარა თამარ კაიკაციშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ დირექტორმა საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ ინფორმაცია პირველად იმჟამად სასწავლო პროცესის მენეჯერ ნელი გუგუნავასთან მხოლოდ 2012 წლის 15 ივნისის შემდეგ მიიღო, რა დროსაც, ყოფილი მოადგილე გამოცხადდა სასწავლებელში უფლებამოსილების 10-დღიანი შეწყვეტის შემდეგ და ნელი გუგუნავასთან ერთად გამზადდა ის ბრძანებები, რომელიც უნდა გაემზადებინა მას, როგორც საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს და როლებიც მანამდე არ იქნა შესრულებული მხოლოდ იმის გამო, რომ მივლინებიდან დაბრუნებულმა დირექტორმა 2012 წლის 6 ივნისს, თამარ კაიკაციშვილს პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვება მოსთხოვა. სასამართლომ ასევე გაიზიარა თამარ კაიკაციშვილის განმარტება იმის თაობაზეც, რომ მასა და კოლეჯის დირექტორს შორის, 2012 წლის 6 და 7 ივნისის შეხვედრაზე, არ ყოფილა მსჯელობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ხარვეზებზე და გამოცდების არაორგანიზებულ ჩატარებაზე, ვინაიდან დადგენილია, რომ ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული კოლეჯში მიმდინარე გამოცდები და იგი ამ დროისთვის სწორედ საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტთა დაშვების ბრძანებებს ამზადებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა კოლეჯის დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანება თამარ კაიკაციშვილის დისციპლინარული წესით გაფრთხილების შესახებ, ხოლო #36 ბრძანება გათავისუფლების თაობაზე, სასამართლომ სცნო უკანონოდ. სააპელაციო განჩინებაში აღნიშნულია, რომ „სამართალში საყოველთაოდ აღიარებული კონსტიტუციური პრინციპების თანახმად, პირს ერთი და იგივე ქმედებისათვის (სამართალდარღვევა, გადაცდომა) არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს პასუხისგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, თამარ კაიკაციშვილს დაეკისრა დისციპლინარული პასუხისმგებლობა – წერილობითი გაფრთხილება, სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზებიდან გამომდინარე. ამდენად, ეს გარემოება დამსაქმებლის მიერ მიჩნეულ იქნა არა როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის, არამედ – დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. მეორე დღეს, იგივე საფუძვლით, მოხდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც დაუშვებელია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას 2012 წლის 19 ივნისის #36 უკანონობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მითითებული საფუძვლებით თამარ კაიკაციშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება, 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანების არსებობის პირობებში, დაუშვებელი იყო“. ორგანიზაციამ მონიტორინგის ფარგლებში დაადგინა, რომ როგორც სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა, ასევე ყოფილმა მოადგილე თამარ კაიკაციშვილმა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს უზენაესს სასამართლოში გაასაჩივრეს. საკასაციო ინსტანციამ 2013 წლის 17 ივნისის განჩინებით თამარ კაიკაციშვილის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო.

ორგანიზაცია, ასევე გაეცნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეტაპზე, შრომით დავაში მყოფი მხარეების სამართლებრივ მოტივაციას. თამარ კაიკაციშვილის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის" დირექტორის 2012 წლის 18 ივნისის #34 ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში, დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება არც ერთ ფაქტობრივ და სამართლებრივ მტკიცებულებას. სასამართლომ აღნიშნული ბრძანების ძალაში დატოვების დროს არ გამოიკვლია მისი მიღების ფაქტობრივ/სამართლებრივი გარემოებები. პროფესიულმა სასწავლებელმა ვერც სააპელაციო ეტაპზე შეძლო #34 ბრძანების მიღებისთვის დასახელებული ფაქტების დადასტურება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ #34 ბრძანების ძალაში დატოვების საფუძვლად მიიჩნია სწორედ ის შემთხვევა, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, 2012 წლის 19 ივნისამდე არსებობდა შრომითი ურთიერთობა. გაიზიარა ისიც, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულს პირადი განცხადების საფუძველზე

თანამდებობის დატოვება 2012 წლის 6 ივნისიდან აცნობა, თუმცა დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებული ის ფაქტი, რომ დამსაქმებელი ჯერ გააფრთხილეს/გაათავისუფლეს, ხოლო შემდეგ მოხდა მისი წასვლის შესახებ სამართლებრივი მტკიცებულებების შეგროვება. სააპელაციო სასამართლო ვერ ასაბუთებს და არ მიუთითებს მტკიცებულებას, რომელიც #34 ბრძანების მიღების კანონიერებას დაამტკიცებდა. ამასთან, სასამართლო არ მსჯელობს, არ უთითებს, ვერ გამოკვეთს და ასაბუთებს, თუ რომელი სამსახურეობრივი ვალდებულების დარღვევაა დადასტურებული, რითაც ყოფილი მოადგილე დისციპლინარული წესით გააფრთხილეს.

თამარ კაიკაციშვილის საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ „სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტებს, რომლის ნამდვილობაც არ დასტურდება არც ერთი მოწმის ჩვენებით და საქმეში, სამართლებრივი და ფაქტობრივი მტკიცებულებების თანმიმდევრობით. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოებაც, რომ როდესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, ქ-ნმა ი. პერანიძემ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, რათა ერთი ფაქტი მაინც დაესახელებინათ გაფრთხილების ბრძანების მიღების საპირწონედ, საზოგადოებრივი კოლეჯის კანონიერმა წარმომადგენლებმა მოიხმეს მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდაზე სტუდენტთა ბრძანებების გარეშე დაშვების სადავო შემთხვევა, რომელიც, პირველი ინსტანციის სასამართლოში, ვერც კოლეჯის დირექტორმა დაადასტურა, ვერც სასწავლო პროცესის მენეჯერმა და ვერც კოლეჯის სხვა უფლებამოსილმა, მოწმის სახით მოწვეულმა პირებმა. ამიტომაც, სასამართლოს ლეგიტიმური შეკითხვა გაუჩნდა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე სააპელაციო საჩივარს ამზადებდა, ჯეროვნად იცნობდა თუ არა კასატორის საქმეს და თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ დადასტურდა სადავოდ მიჩნეული ე.წ. „ხარვეზები," რატომ იქნა მიღებული გაფრთხილების ბრძანება?! სააპელაციო სასამართლოს სხდომის აუდიო-ჩანაწერშიც ჩანს, რომ სასამართლო მოწინააღმდეგე მხარისგან კვალიფიციურ პასუხსს მოელოდა. სააპელაციო პალატის მოსამართლეებს, მოწინააღმდეგე მხარისგან მიღებული პასუხის ბუნდოვანებამ და დაუკმაყოფილებლობამ მხოლოდ ხუმრობის და ლირიული გადახვევის შინაგანი რწმენა დაუტოვა, რაც ჩანს კიდეც აუდიო-ოქმში მათი კონკრეტული შეხედულებებით."

ორგანიზაცია გაეცნო სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის" საკასაციო დასაბუთებასაც, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი კონტექსტი ეთმობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებას, ჰქონდა თუ არა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს უფლება, ერთი და იგივე დანაშაულისთვის გამოეყენებინა ორი ადმინისტრაციული სახდელი. სასამართლოს შესაგებელში ვკითხულობთ, რომ „ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მის მიერ 2013 წლის 26 მარტის #2ბ–13–13 გამოტანილი გადაწყვეტილების 4.2.4. და 4.2.10. პუნქტებით განმარტავს, თუ რატომ არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას შრომითი ურთიერთობის 2012 წლის 6 ივნისს მოშლასთან დაკავშირებით და ამავე გადაწყვეტილების 4.2.17. პუნქტით განმარტავს, რომ ამ ნაწილში დამატებით შეფასებას საჭიროებს, რას დაეფუძნა 2013 წლის 19 ივნისის #36 ბრძანება და ასაბუთებს, რომ თითქოს გათავისუფლების ბრძანებაში დირექტორის მიერ მითითებულია, რომ თამარ კაიკაციშვილი გათავისუფლდა თანამდებობიდან 2012 წლის #34 ბრძანების შესაბამისად და 4.2.20 პუნქტით ასაბუთებს, რომ პირი არ შეიძლება ერთი და იგივე ქმედებისათვის (სამართალდარღვევა, გადაცდომა) ორჯერ დაეკისროს დისციპლინარული პასუხისმგებლობა, რასაც ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენი მხრიდან არ განხორციელებულა და თამარ კაიკაციშვილი თანამდებობიდან ერთიდაიგივე დარღვევისთვის არ გათავისუფლებულა. თუ დავაკვირდებით 2012 წლის 19 ივნისის #34 ბრძანებას, თამარ კაიკაციშვილმა ამ ბრძანებაზე გააკეთა წარწერა, რომ ის არ ეთანხმება გაფრთხილების ბრძანებას და დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აღარ ემორჩილებოდა, რაც დაადასტურა #34 ბრძანებაზე წარწერით და ამიტომ მოხდა 2012 წლის 19 ივნისის #36 ბრძანებაში მითითება #34 ბრძანების შესახებ".

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, სსიპ ქობულეთის საზოგადობრივი კოლეჯის მიმართ თამარ კაიკაციშვილის კიდევ ერთ სარჩელს გაეცნო, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 2013 წლის 13 მარტს, მორიგების აქტის საფუძველზე გადაწყვიტა. დავის საგანი გახდა კოლეჯის

დირექტორის 2012 წლის 11 ივლისის ადმინისტრაციული თათბირის ოქმის სამართლიანობისა და კანონიერების საკითხი. თამარ კაიკაციშვილმა კოლეჯის დირექტორს შრომითი ურთიერთობაში დაწყებული დავის დასრულება მორიგების საფუძველზე, 2012 წლის 7 ივლისის წერილის საფუძველზე სთხოვა, ხოლო ასეთი შესაძლებლობა მხარეთა შორის კოლეგიალობის აღდგენად და ნდობის დაბრუნებად მიიჩნია, ხოლო კოლეჯის დირექტორმა, 41 თანამშრომლის მონაწილეობით, 2012 წლის 11 ივლისს მიიღო ადმინისტრაციული თათბირის ოქმი, სადაც კოლეჯის დირექტორის ყოფილი მოადგილის წინადადება, თავად დირექტორის მხრიდან, ადმინისტრაციული თათბირისთვის, მცდარი ინტერპრეტაციით იქნა შეთავაზებული. თათბირმა ყოფილი მოადგილის სურვილი „კოლეგიალობის აღდგენაზე“ „თანამდებობაზე აღდგენის“ მცდელობად მიიჩნია. ორგანიზაცია გაეცნო ოქმში კოლეჯის 14 თანამშრომლის პერსონალურ მოსაზრებას თამარ კაიკაციშვილის მიმართაც, რომელიც მოცემულია კოლეგის და პიროვნების მიმართ უკიდურესი დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი ტონით. ადმინისტრაციული საჩივრით თამარ კაიკაციშვილმა ადმინისტრაციული ოქმის ბათილად ცნობა და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა მოითხოვა. სასამართლო ეტაპზე, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა აღიარა ოქმის შედგენის პროცედურული დარღვევები და ოქმით გამოთქმული მოსაზრებების საჭიროება თამარ კაიკაციშვილის 2012 წლის 7 ივლისის წერილთან მიმართებით. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა ხელი მოაწერა მორიგების აქტს, რომლის საფუძველზეც, 2013 წლის 22 მარტს, თამარ კაიკაციშვილის მიმართ გაგზავნილ იქნა შემდეგი სახის წერილობითი შეტყობინება: „გაცნობებთ, რომ 2012 წლის 11 ივლისს, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა“ მოწვეული ადმინისტრაციული თათბირი, რომლის საფუძველიც გახდა თქვენი 2012 წლის 07 ივლისის ღია წერილი–განცხადების შინაარსი, ადმინისტრაციულ თათბირზე განხილვას არ ექვემდებარებოდა, რადგანაც აღნიშნული წერილის მოთხოვნები აღნიშნული თათბირის დღის წესრიგში არ უნდა ყოფილიყო“.[12]

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია მონიტორინგის ფარგლებში, ასევე გაეცნო მხარეთა შორის სხვადასხვა მორიგების აქტის პროექტებს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში იქმნებოდა. ერთ–ერთი მორიგების აქტის ფარგლებში, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა თამარ კაიკაციშვილს მორიგების შესაძლებლობა მედია–დუმილის სანაცვლოდ შესთავაზა. კერძოდ, თუკი ყოფილი მოადგილე კოლეჯთან დავასთან მიმართებით მასობრივ–საინფორმაციო საშუალებებთან კომენტარს გააკეთებდა, 20 000 ათასი ლარით უნდა დაჯარიმებულიყო. სასამართლო სხდომაზე, თამარ კაიკაციშვილმა მორიგების ასეთი პირობა გამოხატვის თავისუფლების ხელყოფად შეაფასა. მონიტორინგმა დაადგინა, რომ წინასასამართლო და სასამართლო ეტაპზე, დავის მორიგებით დასრულების ინიციატივას, მხოლოდ თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენელი აყენებდა, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მხრიდან კი მხოლოდ ერთი მორიგების აქტი მომზადდა, რომელსაც მხარე პრგამატული მოსაზრებით არ დაეთანხმა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯი დავის მორიგებით დასრულების ინიციატორი, მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ეტაპზე აღმოჩნდა, თუმცა საქმეზე მორიგების შესაძლებლობა, თამარ კაიკაციშვილმა, უზენაესი სასამართლოს ეტაპზეც გამორიცხა.[13]

---

[12] სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის #01–151112 წერილი.

[13] თამარ კაიკაციშვილის სასარჩელო მოთხოვნას სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიმართ დირექტორის #34 და #36 ბრძანებების ბათილად ცნობა, შეწყვეტის ნაცვლად, შრომითი ხელშეკრულების მოშლა, შრომის წიგნაკში დისციპლინარული სახდელის გაუქმება და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა წარმოადგენდა.

5. ორგანიზაციის დასკვნა

ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“, მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ადგილი აქვს **სისტემურ** და **სამართლებრივ** პრობლემებს, რომელიც არ პასუხობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებს და ღირებულებებს, დემოკრატიულ და საჯარო მმართველობის პრინციპებზე, მთლიანად უგულვებელყოფილია ადამიანური რესურსების მმართვის სამართლიანი მოდელი, მოშლილია სასწავლებლის შიდა დემოკრატია და დეცენტრალიზაცია, ეფექტიანი მმართველობა კი ჩანაცვლებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ თანამდებობებსა და სხვადასხვა სფეროს თანამშრომლების კონკურსების გარეშე დანიშვნასთან, გამოვლენილია ადამიანების დაწინაურება მათთან ოჯახური, ნათესაური, მეზობლური და ახლო ურთიერთობების გაზიარებით, რაც სცილდება განათლების რეფორმის გამჭვირვალობის პრინციპებს და სამართლიანობის სტანდარტებს, საქართველოს დაახლოებას „კოპენჰაგენის დეკლარაციასთან“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტის „პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – პროფესიული სტანდარტების“ დებულებებს, რომელიც ადგენს ავტონომიურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მაღალ სტანდარტებს პროფესიული სასწავლებლებისთვის და პროფესიული განათლების განვითარებისთვის საქართველოში.

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგად ყურადღება მიაქცია კოლეჯის დირექტორის მმართველობის სტილს და გადაწყვეტილებების სამართლებრივ დასაბუთებას. საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ ადმინისტრაციული თათბირი წარმოადგენს კოლეჯის მმართველობითი ორგანოს – დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ–ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების სამართლებრივ წყაროს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ კოლეჯსა და ყოფილ მოადგილეს შორის შრომითი დავა გაცდენილია კერძო–სამართლებრივი დავის ფარგლებს და ატარებს ღია კონფლიქტის ნიშნებს. კოლეჯის დირექტორი ყოფილ მოადგილესთან სამართლებრივი დავის მიმდინარეობის დროს, პროცესის თანამონაწილედ ხდის სასწავლებლის სტუდნეტურ და აკადემიურ საზოგადოებას. დირექტორის საჯარო განცხადებები დასაბუთებულია სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტთა ნაწილის ღია პოზიციით. მონიტორინგის ფარგლებში, გაცნობილ იქნა არაერთი მტკიცებულება, რომელიც ყოფილ მოადგილესთან კოლეჯის მთლიან შემადგენლობას დაპირისპირებასა და ღია კონფრონტაციაში ამყოფებს. დირექტორის 2012 წლის 19 ოქტომბრის #65 ბრძანების საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული პროცესის გამო, კოლეჯმა ერთი დღით სასწავლო პროცესი შეაჩერა. კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასწავლებლის აკადემიური და სტუდენტური საზოგადოების თითქმის სრული შემადგენლობა ესწრებოდა. დირექტორის 2012 წლის 28 დეკემბრის #01–151344 თანახმად დგინდება, რომ „ადმინისტრაციისა და სტუდენტთა ქობულეთი–ბათუმი–ქობულეთის მარშრუტით გადაადგილებაზე ტრანსპორტირებისათვის ადმინისტრაციული ხარჯები არ გაღებულა. ხარჯები სასამართლოზე მსურველთა დასასწრებად გაღებულ იქნა ამ პროცესზე დამსწრე პირების მხრიდან საკუთარი ხარჯებით“, თუმცა დაცვის მხრიდან მოწოდებული ვიდეო–ფირით დადასტურებულია კოლეჯის წარმომადგენელთა ტრანსპორტირების ფაქტი სასწავლებლის კუთვნილი მიკროავტობუსით.[14] ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს სასწავლებლის სტუდენტთა ნაწილის ისეთ ქმედებებზეც, რომელიც მოტივირებულია არა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ცოდნით, არამედ მხოლოდ სასწავლებლის

[14] თამარ კაიკაციშვილის კანონიერმა წარმომადგენელმა, 2012 წლის 6 ნოემბერს განცხადებით მიმართა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს და ინციდენტების პრევენციის შესახებ ქმედითი ზომების მიღება მოითხოვა. განცხადეაბში აღნიშნულია, რომ 2012 წლის 5 ნოემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობასთან, დირექტორის მხარდაჭერით სტუდენტთა ერთი ჯგუფი თამარ კაიკაციშვილის მხარესთან კონფლიქტს შეეცადა, ვითარება კი ე.წ. „ქუჩური მეთოდებით“ გადაჭრის მცდელობას დაემსგავსა.

სახელის დაცვის მოწოდებით. კოლეჯის დირექტორმა, 2012 წლის 19 ოქტომბერს, უშუალოდ უხელმძღვანელა სასწავლებლის ეზოში სტუდენტებისა და თანამშრომლების მონაწილეობით გამართულ საპროტესტო აქციას და სიტყვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენლებს, თუმცა კოლეჯის ადმინისტრაცია, მოთხოვნის მიუხედავად, არ გამიჯვნია ყოფილი მოადგილის ფოტოს სასწავლებლის ეზოში საჯაროდ დაწვის ფაქტს, რაც ცხადყოფს კერძო–სამართლებრივი დავის პიროვნულ ხასიათზე და თამარ კაიკაციშვილის მიმართ, დირექტორის მხრიდან მთლიანი სასწავლებლის ჩართულობის მიზანმიმართულ და გააზრებულ ქმედებაზე.

ორგანიზაციის შეფასებით, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის მოადგილე თამარ კაიკაციშვილი განსხვავებული სამოქალაქო პოზიციისა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიღებული დავალების შედეგად გაათავისუფლეს.[15] სამინისტროს დავალების შესრულებაზე მიუთითებს კოლეჯის დირექტორი ყოფილ მოადგილეთან აუდიო–ჩანაწერში, 2012 წლის 14 ივნისს. კოლეჯის დირექტორი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სამინისტროდან მიღებული დავალების შემსრულებელია. სასამართლო ეტაპზეც დადასტურებულია ფაქტი, რა დროსაც, დირექტორი, 2012 წლის 6 ივნისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილებით ბრუნდება და ყოფილ მოადგილეს პირადი განცხადების საფუძველზე წასვლას სთხოვს. თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლებაში სამინისტროს როლზე საუბრობს კოლეჯის საქმისმწარმოებელი და იურისტიც. მონიტორინგი, კოლეჯის პიარსამსახურის ხელმძღვანელის სასამართლო ეტაპზეც მიცემული ჩვენების საფუძველზეც იზიარებს გარემოებას, რა დროსაც, კოლეჯის დირექტორმა ყოფილი მოადგილის გათავისუფლების საკითხზე პირველი სატელეფონო შეტყობინება სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელიდან მიიღო. მოგვიანებით, სამინისტროს როლი თამარ კაიკაციშვილის საქმეში დაადასტურა ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის 2012 წლის 28 ნოემბრის წერილმა, სადაც პირდაპირ იქნა აღნიშნული, რომ „სამინისტრომ, ამ თემაზე აკრძალა ყოველგვარი კომენტარი გაკეთება.“ სამინისტროს მხრიდან გათავისუფლების დამალვის და გადაფარვის მცდელობა იკვეთება ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსისთვის“ 2012 წლის 28 ივნისს სამინისტროს პრეს–სამსახურის ყოფილი უფროსის ნინო პოტრჟებსკაიას კომენტარშიც, რა დროსაც სამინისტრო ქობულეთის კოლეჯის დირექტორის მოადგილის გათავისუფლებაზე, ჟურნალისტს მიუთითებს, რომ თქვას, ასეთ ფაქტს არ ადასტურებს.[16] შევნიშნავთ, რომ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ინფორმაციას განზრახ არ ასაჯაროებს, რაც იმ პერიოდისთვის, განათლების სისტემიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა შემთხვევების დადასტურების მიღებისთვის, ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს. მონიტორინგმა ცხადო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მოცემულ ეტაპზე, ეფექტურ რეაგირებას ვერ უზრუნველყოფს სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში არსებულ სისტემურ და სამართლებრივ პრობლემებზე და აგრძელებს სამინისტროს წინა ადმინისტრაციის დროს ჩამოყალიბებულ მიდგომებს, არამხოლოდ პოლტიკური ნიშნით გათავისუფლებული პირის საქმეზე პოზიციით, არამედ დუმს სასწავლებელში არსებული ნეპოტიზმის ფაქტების შესახებ. მიღებული ინფორმაციით, სამინისტრი ინფორმირებულია სასწავლებლის სისტემური და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, თუმცა დღემდე არ საჯაროვდება ის დამოკიდებულება, რომელიც სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ უნდა გააჩნდეს, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სამინისტრო, კანონის თანახმად, ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სასწავლებელზე კონტროლის განხორციელებას.

---

[15] აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციების: „ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“, „კონსტიტუციის 42 მუხლი“, „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტისა“და „სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისათვის“ ერთობლივი დასკვნები. აგრეთვე, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს დასკვნაც.

[16] თამარ კაიკაციშვილი მოადგილის თანამდებობიდან 2012 წლის 19 ივნისს გაათავისუფლეს.

მონიტორინგი შენიშნავს, რომ როგორც ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ ყოფილი მოადგილის გათავისუფლების ფაქტს (ბრძანებას) უწოდა უკანონო. სასამართლომ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადასტურა, რომ დირექტორმა ყოფილი მოადგილე ჯერ გაათავისუფლა, ხოლო შემდეგ მომზადდა გათავისუფლებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. მონიტორინგი, გათავისუფლების უკანონობის სასამართლო დასაბუთების პარარელურად, ყურადღებით გაეცნო იმ შესაძლო გამომწვევ მიზეზებს, რომელიც გათავისუფლების უკანონო საფუძვლები შექმნა. ამ მიმართულებით, შესწავლილ იქნა ყოფილი მოადგილის 2012 წლის 4 სექტემბრის საჯარო განცხადება[17] და კოლეჯის დირექტორის შესაძლო კავშირი პოლიტიკასთან, რომელსაც, შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა გათავისუფლების პოლიტიკურ კონტექსტზე და პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაზე. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ 2012 წლის 6 ივნისისთვის, რა დროსაც დადასტურებულია დირექტორისა და ყოფილი მოადგილის შეხვედრა თანამდებობის პირადი განცხადების საფუძველზე დატოვების შესახებ, დირექტორი დავით მჭედლიშვილი ღიად წარმოადგენს იმჟამად სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, რაც მუნიციპალურ დონეზე დადასტურებულია პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობით, ხოლო ყოფილი მოადგილე თამარ კაიკაციშვილი წარმოადგენს ოჯახს, რომლის წევრიც, ვაჟა ბერიძე, იმჟამად მთავარი ოპოზიციური გაერთიანების – კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის მრჩველთა საბჭოს წევრია. მონიტორინგი მიუთითებს, რომ თამარ კაიკაციშვილი სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში არ დანიშნულა პარტიული ნიშნით ან/და პარტიული რეკომენდაციით. შესაბამისად, სამინისტროს იმჟამინდელი პოლიტიკისთვის ყოფილი მოადგილე არასაიმედო კადრად იქნა შეფასებული და გათავისუფლების რეალური საფუძველი არ ყოფილა სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზები, რასაც მოწმობს თანამდებობის დატოვების მოთხოვნა პირადი განცხადების საფუძველზე და სიტყვიერი გათავისუფლებიდან (6 ივნისი, 2012) და გათავისუფლების ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე (19 ივნისი, 2012) პერიოდში გაჩენილი დაბნეულობა და გაურკვევლობა, რომელიც პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობის დატოვებაზე უარის თქმას მოჰყვა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თამარ კაიკაციშვილის სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში საქმიანობის ასაკი, განსხვავებით სხვა თანამშრომლებისგან, ახალგაზრდა იყო. საზოგადოებრივ კოლეჯში, ყოფილი მოადგილე 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 19 ივნისამდე მუშაობდა, ხოლო თუკი კოლეჯში სიახლეების მმართვა დირექტორის მოადგილის „არაერთი სიტყვიერი გაფრთხილებებისა” და „დაშვებული შეცდომების” ფონზე მიმდინარეობდა, კოლეჯს მოადგილის თანამდებობაზე გაცილებით კვალიფიციური კადრის მოწვევის შესაძლებლობა 5-ჯერ გააჩნდა - 2011 წლის 3 იანვარს, 2011 წლის 1 მარტს, 2011 წლის 1 სექტემბერს, 2012 წლის 17 თებერვალს და 2011 წლის 1 სექტემბერს, თუმცა ყველა შემთხვევაში, დირექტორი ყოფილ მოადგილესთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელების სურვილს გამოთქვამდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ თამარ კაიკაციშვილის მიმართ არსებობდა კანონიერი ნდობა, როგორც კვალიფიციური კადრისა და გამოცდილი მენეჯერის მიმართ. სახელშეკრულებო სამართალში ვალდებულების შესრულების მიმართ გამოხატული დუმილი ნიშნავს თანხმობას, თანხმობას იმ ნდობის მიმართ, რომელიც მხარეებს სახლეშეკრულებო პირობების მიხედვით გააჩნდათ. მონიტორინგი მიუთითებს, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებობდა ვადიანი ხელშეკრულება და სასწავლებელს 2012 წლის 1 სექტემბერს, სულ რაღაც 3 თვეში, თამარ კაიკაციშვილთან დადებული ხელშეკრულების დასრულება შეეძლო, თუმცა მოხდა პირიქით, რაც მიუთითებს გათავისუფლებას პოლიტიკური ნიშნით, საქართველოს შრომის კოდექსით დაცული დისკრიმინაციის აკრძალვის პირდაპირ დარღვევას.[18]

---

[17] თამარ კაიკაციშვილის „მიმართვა საზოგადოებრივ კოლეჯს და საზოგადოებას“, გაზეთი „ღირსების საქმე“.

[18] შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირებისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო..

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის სისტემური პრობლემის ერთ–ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს პლურალისტური გარემოს უკიდურესი სივიწროვე და ავტონომიურობის დაბალი ხარისხი, რაც მოქმედი დირექტორის ერთპიროვნული და თანხმობაში მყოფი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების შედეგია. თამარ კაიკაციშვილის საქმემ სასწავლებელი პოლიტიკური გავლენისაგან შორს მდგარ სასწავლო დაწესებულებად ვერ გამოკვეთა. მონიტორინგის განხორციელების პროცესში, კოლეჯის ოფიციალურ სოციალურ გვერდზე გაცნობილ იქნა კოლეჯში, 2012 წლის 19 ოქტომბერს გამართული გაფართოებული შეკრების ვიდეო–მასალაც. სასწავლებლის ერთ–ერთი თანამშრომელი, ედნარ ვერულიძე, მათ შორის სასამართლო ეტაპზე დაბარებული მოწმის სახით, ამბობს: „მე ერთი წელია ვეწეოდი პროპაგანდას ამ კოლეჯში „ქართული ოცნების," ერთი წელია ვეწეოდი. მე პირადად შემიძლია ვთქვა, რომ დათო მჭედლიშვილისგან ზეწოლა მე არ მიმიღია" (სტილი დაცულია). კოლეჯის დღეს მოქმედი სასწავლო პროცესის მენეჯერი, ეთერ ანანიძე თავის გამოსვლაში: „ეს კოლეჯი არის სახელმწიფო ორგანოს ქვეშ დაქვემდებარებული ორგანიზაცია და დაემორჩილება ყველა იმ კანონებს, რომელიც იქნება სათავეში და ჩვენ, არც ერთი ჩვენთაგანი, არ ვართ სახელმწიფო მმართველი ხელისუფლების წინააღმდეგი" (სტილი დაცულია). კოლეჯის თანამშრომელი, მანანა გაგუა, რომელიც 2012 წლის 19 ოქტომბრის შეკრების ერთ–ერთი აქტიური მონაწილეა: „სირცხვილია, რომ მჭედლიშვილის ღირსების მედალი ასე სალაპარაკო გახდა. მერე რა, „ნაციონალურ მოძრაობის" წევრები ვიყავით სუყველა. ჩვენ ვართ საჯარო სამსახურში, ვალდებული ვიყავით, რომ ჩვენ იმ ხელისუფლების ხაზი გაგვეტარებინა, რომელიც იყო. ბატონმა დათომაც და ჩემმა კოლეგებმაც ძალიან კარგად იციან, რომ დღეს ჩვენ გავატარებთ ხელისუფლების იმ ხაზს, რომლის დირექტივაც მოგვივა" (სტილი დაცულია). მონიტორინგი მიუთითებს, რომ მართალია, არსებობს საქართველოს კონსტიტუციით პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლება, თუმცა სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა, ადმინისტრაციამ, თანამშრომელთა უმრავლესობამ და სტუდენტთა ნაწილმა ვერ უზრუნველყვეს დეპოლიტიზირებული სასწავლებლი და პოლიტიკური ნეიტრალიტეტით აკადემიური გარემო.

ორგანიზაციის შეფასებით, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მმართის ორგანოები – დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, მათ შორის შემადგენლობის განახლებას და არჩევითობას. სასწავლებლის მდგრადობას ვერ უზრუნველყოფს ის მემკვიდრეობითობა, რომელიც სცილდება შიდა მენეჯმენტის დეცენტრალიზაციას და არ სცნობს შიდა დემოკრატიულ სისტემას, განსხვავებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ შეხედულებებს, პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაბამის გარემოს და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას საზოგადოებასთან. ერთპიროვნული ძალაუფლება უხერხულობას ქმნის საერთაშორისო დონორებთან და პარტნიორებთან, რომელთა მთავარი ღირებულება, განათლების სფეროს ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და ადმინისტრაციულ/აკადემიურ თანამდებობებზე არჩევითობა, ღია კონკურსები და სტუდენტების პროცესებში ჩართულობის მეტი შესაძლებლობების გაზრდის პრაქტიკული მაგალითებია.

6. სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე მინისტრის #1374 ბრძანებაში განხორციელდეს ცვლილებები და კომისიას მიეცეს უფლებამოსილება წარმოებაში მიიღოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ პროფესიულ სასწავლებლებში 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე (2012 წლის 12 დეკემბრამდე) პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა საქმეები. კომისიის მუშაობის არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებობს პროფესიული სასწავლებლებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა მომართვიანობა, თუმცა კომისია უფლებამოსილებიდან გამომდინარე, უძლურია მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ეს ვერ პასუხობს ვერც სამართლიანობას და ვერც სამართლიანობის აღდგენის პრინციპებს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ კომისიის მუშაობა პროფესიული სასწავლებლების მიმართაც უნდა გაავრცელოს.

2. საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის სამსახურებმა განახორციელონ ეფექტური კონტროლი სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სამართლებრივი გადაწყვეტილებების სამართლიანობის დადგენის მიმართ, მათ შორის მნიშვნელოვანია განხორციელდეს ფინანსური აუდიტი, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია კოლეჯის დაქვემდებარებაში არსებული უძრავი და მოძრავი საკუთრების განკარგვის კანონიერებასთან და პირადი სარგებლიანობის შესაძლო ფაქტების დადგენის მიზნით. სამინისტრომ სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიზნით კანონით მინიჭებული კონტროლის უფლებამოსილება განახორციელოს მყისიერად, რათა არ მოხდეს მონიტორინგის შედეგად საჯაროდ გამხდარი ფაქტების დაფარვა, გადაწყვეტილებების შეცვლა და შესაძლო მოქმედებების განხორციელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სასწავლებლის გამჭვირვალობას და რეალობის დადგენას.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სასწავლებელში გამოვლენილი შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების აღმოჩენის გარკვევამდე, დასვას კოლეჯის მოქმედი დირექტორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი და სამინისტროს შიდა აუდიტისა და გენერალური ინსპექციის დასკვნამდე, მოქმედ დირექტორს შეუჩერდეს და მასვე დაეკისროს დირექტორის მოვალეობის შესრულება.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ღია, თავისუფალ და გამჭვირვალე აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება.

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კანონიერი ნდობის აღდგენის მიზნით, სარეკომენდაციო წინადადებები განახორციელოს გონივრულ ვადებში, 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის მიმართ

1. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრი კოლეჯის მოქმედმა დირექტორმა თავად უზრუნველყოს გამჭვირვალე ადმინისტრაციული მმართველობის პატივისცემა და ამ მიზნით, მიიღო საკადრო გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული თანამდებობიდან ყველა უფლებამოსილების მქონე პირთან შრომითი ხელშეკურლებების შეჩერებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შრომითი ხელშეკრულებები შეუჩერდეთ ყველა თანამშრომელს, რომელიც სასწავლებელში დაწინაურებულია კოლეჯის დირექტორთან ნათესაური, მეზობლური, ოჯახური ურთიერთობის გავლენით და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება სასწავლებელში ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადდეს ღია, საჯარო და გამჭვირვალე კონკურსი. მიგვაჩნია, რომ საკონკურსო გზით სასწავლებლის განახლება ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან კოლეჯისადმი ნდობის ამაღლებას და იმ მემკვიდრეობითობის წყვეტას, რომელიც მუნიციპალურ დონეზე კვალიფიციურ კადრებს საშუალებას არ აძლევს საკუთარი გამოცდილება და განათლება გაუზიაროს პროფესიული სასწავლებლის სტუდენტურ საზოგადოებას.

2. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურსი ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე ჩაატაროს დამოუკიდებელმა საკონკურსო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ განათლების სფეროს ექსპერტები, დარგის სპეციალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, სამართლის სპეციალისტები. კონკურსი მიმდინარეობის საერთო ხელმძღვანელობა უზრუნველყოს საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

3. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივმა კოლეჯმა მედიისთვის ღია გახადოს სასწავლებლის ბაზაზე არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილი და მიზნობრიობა, სასწავლებლის საამქრო, საკონდიტრო, სარესტორნო, იჯარით გაცემული ფართებიდან და მომსახურეობებიდან შემოსული თანხების გამოყენების ფარგლები. ასევე, საზოგადოებას ეცნობოს, არსებობს თუ არა კუთვნილი ქონების მიმართ მესამე პირთა ინტერესები ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვინ უზრუნველყოფს მსგავსი სავაჭრო და საოფისე ფართების მენეჯმენტს და ფინანსურ აუდიტრს, ხომ არ ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების სარგებლობა პირადი ინტერესებისთვის და რამდენად თავსებადია ეკონომიკური მოგება/შემოსავალი საქართველოს კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის რეგულირებასთან.

მასობრივი–საინფორმაციო საშუალებების რედაქტორებს

1. მედიამ უზრუნველყოს მიუკერძოებელი, დაზუსტებული და ობიექტური ინფორმაციის მომზადება მონიტორინგის ფარგლებში გამოქვეყნებული ფაქტების მიმართ და არ დაუშვას რომელიმე მომზადებული ინფორმაციის გაშუქება ორგანიზაციის პოზიციის გარეშე. ნებისმიერი ასეთი შემთხვევა, ორგანიზაციის მხრიდან ჩაითვლება ცალმხრივად გაშუქებულ მასალად და ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევად.

2. მედიამ უზრუნველყოს ჟურნალისტური გამოძიების მომზადება მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ფაქტების მიმართ. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ჟურნალისტური გამოძიების განხორციელებას თავისუფალი ნების პირობებში, რაც გულისხმობს წარმოდგენილ პროდუქტში, როგორც ორგანიზაციის პოზიციის, ასევე სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის შეხედულების გაშუქებას. ამასთან, პრობლემის გაშუქების მიზნით, პრიორიტეტი მიენიჭება გაანთლების, სამართლის, მედია სფეროს ექსპერტების მონაწილეობას. ორგანიზაცია გამოთქვამს

მზადყოფნას, წარმოდგენილი მონიტორინგის ფარგლებში, დაინტერესებულ მედია–საშუალებას გადასცეს ყველა დოკუმენტური მასალა და საკითხზე ჟურნალისტური გამოძიებისთვის დააფინანსოს საუკეთესო მედია წინადადება.